


საგზაო

ქართული
ბიზნისი

საერთოული გაზეთი

პარასკევი 19 მარტი 2004 №61 (2080)


ფასი 50 თეთრი



МОСКВА

თბილისის ლოკომოტივი რომას ნაცვლად

რუსული მილიონები და იოჰან ბოსჩაივი ПРОДАНО?



გადრი კაშილაძის ფოტო

O-La-La თქვა ჟირასმა



სამი წრე და ოდენ ერთი გოლი — ასე განახლდა გუშინ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა, ხოლო ეროვნული ნაკრების ფრანგი თავი აღენ ჟირესი ალბათ თავის ტკივილმა შეაწუხა — მუსიე ჟირესმა „დინამო“ — „ლოკომოტივს“ უყურა და ქართული ჩემპიონატის საზომითაც ზღაზვნით თამაშის მხილველი შეიქნა — ნელი ფეხბურთი ჟირესს ძალიან არ მოეწონა. ძალიან არ მოეწონა მატჩის შედეგი ივო შუმაკს — ხორვატმა მეტოქეს მხოლოდ მარტივი ქვეტექსტი დაუშინა — „ლოკომოტივს“ ფრეს ვულოცავო.

გადრი კაშილაძის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მირაბ ჟორდანიანი მივლინებიდან ჯერ არ დაბრუნებულა, თუმცა საფრანგეთიდან ეროვნული გუნდის მწვრთნელი კი გამოგვივ ზავნა. პრეზიდენტი თბილისში დღეს ჩამოვა და მერე უკვე საქართველოს ნაკრებთან ერთად გერმანი-

აში გაემგზავრება — 30 მარტს გერმანელ ახალგაზრდებთან ამხანაგური მატჩია დაგეგმილი. ჰოდა, სწორედ გერმანული მანჰაიმიდან მერაბ ჟორდანიანი შესაძლოა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელიც გამოგზავნოს, ყოველ შემთხვევაში...

ნავთობბოსები, ბოსკამპი და ლოკომოტივი



— იოჰან ბოსკამპს ხვალ-ზევ დაეუკავშირდები და შეხვედრას 30 მარტს, მანჰაიმში დაუთქვამ. ჩვენი საბოლოო მოლაპარაკება აქ შედგება და შესაძლოა, ბოსკამპთან, როგორც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთან, კონტრაქტზე იქვე გავაფორმოთ — გვითხრა გუშინ ფედერაციის პრეზიდენტმა — ბოსკამპს ადრე ვესაუბრე და ახალგაზრდების თავკაცობა შეეთავაზე, ის მაშინ ოპერაციის შემდგომ სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა და დეტალური მოლაპარაკებებისთვის დაკავშირება სწორედ ამ დროისთვის მთხოვა. — შესაძლოა, რომ ბოსკამპმა თქვენი შეთავაზება არ მიიღოს? — ყველაფერი მანჰაიმში გაირკვევა. თუმცა ჩვენი პირველი საუბრისას ეტყობოდა, რომ ფედერაციის წინადადებით დაინტერესდა. — როგორც ამბობენ, შესაძლოა, იოჰან ბოსკამპმა ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად გუნდიც ჩაიბაროს. ასეა? — დიახ, არის ასეთი მოსაზრება და ეს ბოსკამპმაც იცის. — რომელ გუნდში იმუშავებს ბოსკამპი, თუ საქართველოში ჩამოვა? — ვერ ვეტყვით, რადგან მე ამ საქმესთან არანაირი კავშირი არ მაქვს.

— იქნებ მიგვანიშნოთ მაინც იმ გუნდზე? — ცოტაც მოვითმინოთ და გაირკვევა, ბოსკამპი სად იმუშავებს. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთ ქართულ გუნდში უცხოელი ბიზნესმენები სოლიდური ინვესტიციების დაბანდობას აპირებენ და მათი სურვილია, რომ გუნდს სწორედ ბოსკამპმა უხელმძღვანელოს. ამ საქმის თაობაზე ქვეყნის პრეზიდენტმაც იცის. — ინვესტორები ფრანგები ხომ არ არიან? — არა, გუნდის პატრონობას რუსული ფირმა აპირებს. გუნდის პატრონობას რუსული ფირმა აპირებსო — გვითხრა მერაბ ჟორდანიანი. გუნდის პატრონობას რუსული ფირმა „ნაფტა-მოსკვა“ აპირებს — შევითქვით ჩვენ და ვაზუსტებთ, რომ ეს ქართული გუნდი თბილისის „ლოკომოტივი“ა. ეს ამბავი წუხელ გავარკვიეთ და ინფორმაციის სისწორეზე დასტური მათგან მივიღეთ, ვისაც ამ საქმესთან უშუალო კავშირი აქვს. „ნაფტა-მოსკვა“ საფეხბურთო სამყარო ამ ორი კვირის წინ ალაპარაკა, როცა რუსებმა იტალიური „რომას“ შეძენა გადაწყვიტეს, თუმცა პროკურატურის მიერ იტალიური კლუბების სატრანსფერო

შოთა გლაზგოში უნდა ისურვოს

ამსტერდამში ნაოპერაციო შოთა არველაძე დღეს გლაზგოში დაბრუნდება, თუმცა „რეინერსი“ ამ სეზონს მას გარეშე ჩაამთავრებს.

არველაძეს ქირურგმა დიკ ვან დიკმა გუშინ უთხრა, მუხლის სახსარში სერიოზული არაფერი იყო, ოდენ წამონაზარდები ამოფხვიკეთო. მოკლედ, შოთას მუხლს კოსმეტიკური ოპერაცია ჩაუტარეს, თუმცა ამით სახსარში გამძვინვარებული ანთება ჩაცხრა.

რაც უმთავრესი იყო, მუხლის ხრტილის ახალი დაზიანებები არ ჰქონია. არველაძემ გვითხრა, რომ დაზიანებული ხრტილი ტკივილს მაინც გამოიწვევს, მაგრამ ეს ტკივილი ასატანი უნდა იყოს — უკვე ოთხი წელია, რაც შოთა ასეთი ტრავმით მაინც თამაშობს.

არველაძე ყავარჯნებს ორ კვირაში გადაადგებს, მერე მუხლის გასამაგრებლად სტატიკური ველოსიპედი და ცურვა აქვს დანიშნული, ვან დიკს კი ამსტერდამში მისის პირველ რიცხვებში ჩააკითხავს, რათა შემდგომი სარეაბილიტაციო კურსი დაუდგინოს.

დავით თავართქილაძე




მუჯირს პირველი გოლი პირველი თოვლივით გაუსარდა

გუშინდინ დავით მუჯირმა პირველი გოლი გაიტანა წლევეანდელ მაქსბუნდესლიგაში. გრაცის „შტურმის“ ქართველი ნახევარმცველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე „კერენტენთან“ მატჩში. გრაცელებმა მეტოქე 2:0 დაამარცხეს და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს.

— „კერენტენი“ ავსტრიაში საშუალოზე დაბალი დონის გუნდად ითვლება და სიმართლე რომ ვთქვა, არ გაგვირვება. ზედიზედ შვიდი მატჩია არ წავგვივია და გასაჯარდ ადგილს 9 ქულით დავმორდით, რითაც კმაყოფილები ვართ. ახლა უფრო მშვიდად ვხვდებით დარჩენილ ტურებს.

— შარშანდელ სეზონში გოლები ხშირად გაგქონდა, წლეულს კი მხოლოდ ერთხელ, „კერენტენთან“ გამოიჩინე თავი... — შარშან უფრო ხშირადაც ვთამაშობდი. ამ სეზონის პირველი ნახევარი კი თითქმის მთლიანად სათადარიგოთა სკამზე ვავატარე. ახლა მწვრთნელი მენდობა და მეც ავთამაშდი. ბოლო ოთხი ტურიდან სამში სიმბოლურ ნაკრებში მოვხვდი. ვფიქრობ, ეს ჩემს ფორმაზე კარგად მეტყველებს.

— გოლზე რას იტყვი? — ჩემს კარიერაში ალბათ ერთ-



ერთი საუკეთესო იყო. აქაურმა გაზეთებმაც აღნიშნეს, მუჯირმა ულამაზესი გოლი გაიტანაო. თითქოს ამით რა, ბოლობოლო „კერენტენს“ გაუუტანე და არა რომელიმე ევროპულ გრანდს, მაგრამ მაინც პატარა ბავშვივით გამიხარდა. კინაღამ თავი გავივიყე, თურმე როგორ მომნატრებია გოლი.

— ესე იგი, ამოისუნთქეთ... — ასე გამოდის. „შტურმმა“ უკვე საკუთარი სახე იპოვა. თან წინა ტურში „გრაცერთან“ დერბი გვექონდა და საკმაოდ დაღლილები ვიყავით. აქ დერბის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. მართალია, ოდენ ფრეს დავეჯერდით, მაგრამ ჩემი თამაშით კმაყოფილი დავარჩი. ეს ავსტრიელმა ჟურნალისტებმაც დაიმფასეს — თბილისი სისტემით 9-იანი დამიწერეს, რაც აქ იშვიათობაა.

ბასა ზალამბერიძე

იტალია	
სერიო B. XXXIII ტური	
ასკოლი 2:1 აველინო	სალერნიტანა 0:3 მესინა
ატალანტა 1:1 ტორინო	ტირანანა 0:0 კომო
კატანია 2:1 ალბინოლევა	ტრევიზო 1:1 ჰიერენცა
ლივორნო 1:1 კალიარი	ტირინატიანა 1:0 პარი
პალერმო 4:0 ვინცია	პერონა 0:1 ფიორანტინა
პესკარა 1:2 ჯანოვა	პიჩენცა 1:0 ნაპოლი
შოტლანდია	
ასონიანდის თასი	ჩელენჯლიგა
1/4 ვინალდი. გადამთამაშება	გადამაბული მატჩი
ლივინგსტონი 1:0 აბერდინი	შო დე ფონი 2:0 ვინტარტური

საქართველოს
შახმატო
პერიოდიკა

15
ლიტრა

ჩემპიონატი
ლიტრა
ვაზა

1 ტურში

თბილისი. 18 მარტი. 15 საათი. ირრმწმწ. 1 000 (ტეფადობა 70 900)

დინამო 0:0 ლოკომოტივი

დინამო: გვარამაძე, კარლოსი, კაშია, შაშიაშვილი, კანდელაკი, კვიციანი, გოგობერიშვილი, ნემსაძე (მ. ბობოხიძე 79), ანაბაძე (რომერო 79), ახალაია, მელქაძე (ს. იაშვილი 55)
სათადარიგო: ზოიძე, ნერეთელი, ლ. სილაგაძე, ქოქიაშვილი
მწვრთნელი: ივო შუშაკი

ლოკომოტივი: მამალაძე, ი. ვაშაძე, ორბელიანი, ლ. სალუქვაძე, სანიკიძე, მანჯავაძე, რ. სვანაძე, დავითაშვილი (დ. დოლიძე 46), სოსელია (ძამასაშვილი 89), დათვაძე (ზამთარაძე 81), გაგუა
სათადარიგო: ხაჩირაშვილი, გ. ონიანი, ჟღენტა, ლილუაშვილი
მწვრთნელი: ზაურ სვანაძე

ბაზრტნილი: ახალაია (40, 90)

ბაძიშვილი: ახალაია (90)

მსაჯელები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ცირცვა (გურჯაანში); გ. მესხი (ზუგდიდი)

სფ-ის ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

მეტოპეის დღე გვარამაძეს გოგო ხარში ახარეს

დავით თაყაიშვილი

„ლოკომოტივი“ შესუსტებული შემადგენლობით ესტუმრა „დინამოს“ და ეროვნული სტადიონიდან ქულა წაიპო. ნამატჩვეს ივო შუშაკმა თქვა კიდევ, მეტოპეის ფრესკულაცავო, თუმცა საგოლე მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა.

პროფლიგის სპონსორები „კოკაკოლა“ და „მარსი“ სტადიონზე მოსულ გულშემატკივრებს თავიანთი ნაწარმით გაუმასპინძლდნენ — ასეთი რამ პირველად მოხდა ჩვენს ჩემპიონატში. „დინამომ“ კი თამაშის წინ თანამეგობრობის თასი გაემოიჭრა, რამაც საზეიმო განწყობა შემატა მატჩს. ერთი ევ იყო, გულშემატკივარი ბლომად რომ არ მოვიდა სტადიონზე.

ზაურ სვანაძის „ლოკომოტივი“ შეკოწიწებული გუნდია, რომლის ფეხბურთელებს ერთად საშუალო-ზონო შეკრებაც კი არ გაუვლიათ — ზოგი წავიდა, ზოგი მოვიდა, ზოგიც დაბრუნდა. შუშაკის გუნდმა კი შეკრება ნორმალურად, ნაყოფიერად გაიარა. ისიცაა, რომ „დინამომ“ ოთხმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, თუმცა შევსებაც მიიღო.

ეს პირველი პლეიოფური ტური იყო, მაგრამ „დინამომ“ და „ლოკომოტივი“ მანამდე ოთხი სათასო მატჩი ითამაშეს ანუ, ეს არ იყო პირველ მატჩი საშუალო-ზონო შესვენების შემდეგ და თუ ვინმეს თამაში არ გამოუვიდა, პირველი მატჩის ფაქტორი რკინის არგუმენტად ნაღდად არ გამოდგება.

„დინამომ“ პირველივე წამებიდან შეუტია სტუმრებს. „ლოკომოტივი“ წვირ-წვირილი ჯარიმებითაც ცდილობდა მეტოპეის დაბრკოლებას მოედნის ცენტრში. „დინამომ“ ფლანგურ ჩაწოდებებს მიმართა და „ლოკომოტივის“ საჯარიმოში ძალიან მწვავე სიტუაციები იქმნებოდა, თითქოს გოლიც მწიფდებოდა. მატჩის პირველი რვა წუთი „ლოკომოტივი“ ხეირანად ვერც კი გადავიდა მეტოპეის ნახევარზე, მაგრამ რკინიგზელებმა „დინამოს“ პირველ იერიშებს გაუძლეს — თავდაჯერებულად მოქმედებდა „ლოკომოტივის“ მეკარე ზურაბ მამალაძე.

მე-9 წუთზე კი მიხეილ სოსელიას პასით დავით დათვაძე პირისპირ გადიოდა დავით გვარამაძესთან, თუმცა ლოკომოტიველმა რატომღაც სიჩქარეს უკლო და შოთა კაშიამ დათვაძე გვარამაძემდე არ

მიუშვა — მეტოპე წაქცია, მაგრამ ჯარიმა 17-18 მეტრიდან ვალერი გაგუამ სუსტად შეასრულა და გვარამაძე ბურთს ადვილად დაეუფლა.

„დინამომ“ ამის მერეც აგრძელებდა ზეწოლას და მამალაძემ გოგობერიშვილს შორეული, მაგრამ საკმაოდ რთული დარტყმა აუღო. თუმცა „ლოკომოტივი“ თამაში თანდათან გაათანაბრა — შუა მიწაში საკმაოდ ენერგიულად და სასარგებლოდ ირჯებოდა რამაზ სვანაძე.

მეორე ტაიმშიც ბურთის ფლობა „დინამოს“ იყო, მაგრამ ალექს გოგობერიშვილმა, გიორგი ნემსაძემ და გიორგი ანაბაძემ თავიანთი შესაძლებლობებით ბოლომდე ვერ წარმოაჩინეს — ლოკომოტიველების გარდა ეს უხარისხო მოედნის ბრალიც იყო.

ამასობაში „ლოკომოტივი“ ორი ძალიან სახიფათო იერიში მიიტანა მეტოპეის კარზე — ვალერი გაგუას ახლოდან დარტყმული თავური გვარამაძემ ხელბეჭდით გააქვავა, ხოლო დათვაძემ პირისპირ შეყრილ გვარამაძეს წამით კი დაასწრო, მაგრამ მეკარისგან მიტოვებულ კარში ბურთი კაშიამ არ შეუშვა.

სხვათა შორის, კაშია ერთ ეპიზოდში ფლანგური სოლო-რეიდითაც

გამოიჩინა, მაგრამ მის ჩაწოდებულზე „ლოკომოტივის“ საჯარიმოში შექმნილ არეულობაში საბოლოოდ სტუმართა დაცვამ იმარჯვა.

ნაღდი საგოლე შანსი ლადო ახალაიას ჰქონდა — „ლოკომოტივის“ საჯარიმოში მორიგი მწვავე ეპიზოდისას ბურთი მას მიუვიდა, 6-7 მეტრიდან ძალიან ძლიერად დაარტყა, მაგრამ მამალაძე დიდებულად გაისარჯა და ბურთი კუთხურზე მოიგვრია.

რაც შეეხება ახალაიას გაძევებას, მას ყვითელი ბარათები არბიტრთან შელაპარაკების გამო აუფრიალეს. ნამატჩვეს ზაურ სვანაძემ თქვა, გიორგი მთაბერიძემ არ ვათამაშე, რომ ძალიან მინდოდა, „დინამოს“ წინააღმდეგ მამალაძეს და ვა-

შაკიძეს ეთამაშათო. შეგახსენებთ, რომ „ლოკომოტივის“ ოთხი დინამოელიდან (ვაშაძე, მამალაძე, სახვაძე და მიქაძე) ამ გუნდის წინააღმდეგ მხოლოდ ორი ფეხბურთელის გამოყვანა შეუძლია. ივო შუშაკმა კი მინდორი დაიჩვილა — მოედნის ცენტრში მოთამაშე გოგობერიშვილს, ანაბაძეს და ნემსაძეს ამის გამო არ წაუვიდათ თამაში და ამიტომაც მივმართეთ ბურთის ხშირ ჩაგდებას მეტოპეის საჯარიმოში.

ერთიც — შეხვედრის ბოლო წუთებზე სტადიონის დიქტორმა გვამცნო, რომ მატჩის მიმდინარეობისას გვარამაძეს ქალიშვილი შეეძინა — მილოცვებს სარბიულელებიც ვუერთდებით.

მზა ამირანაშვილი ქუთაისიდან

სამთავრო შესვენების შემდეგ განახლებულ ჩემპიონატს ორივე გუნდი საგრძნობი, ოღონდ ვისთვის საგალოლო, ვისთვის სასიკეთო ცვლილებებით შეხვდა. ისედაც აუტსაიდერი „მერცხალი“ ძირითადად მოთამაშე ხუჭუამ, კალანდაძემ, გაბედავამ და ჭინჭარაშვილმა დატოვეს და თუ ოზურგეთელთა ფინანსურ პრობლემებსაც გავითვალისწინებთ, სასწაული უნდა მოხდეს, გუნდმა უმალეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს. „ტორპედოს“ კი ოთარ გაბელიასთან ერთად ფეხბურთელებიც შემატდნენ და ქვედა ექვსეულში ლიდერობის უმთავრესი ფაქტორია. ამ მატჩშიც უეჭველი იყო, რომ გურულები ქულასაც ვერ წაიღებდნენ ქუთაისიდან. ასეც მოხდა, თუმცა ამ უღიმამო და უინტერესო შეხვედრაში

სტუმრები მხოლოდ მინიმალურად დამარცხდნენ. აღსანიშნავია, რომ არბიტრი ლევან კვარაცხელია პირველად მსაჯობდა უმალეს ლიგაში და მოვალეობას თავი ჩინებულად გაართვა. აკი აღნიშნა კიდევ თამაშის შემდეგ ანატოლი მილჩენკომ, თამაშზე ბევრად უკეთესი მსაჯობა იყო.

მატჩი კი, რა თქმა უნდა, მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, რომლებიც ბევრს ეცადნენ, თუმცა რეალური რომ ეთქმის, ისეთი მომენტები ვერა და ვერ შექმნეს. აქტიურობდნენ კომპაძე, ბაბუნაშვილი და დავითაშვილი, მაგრამ გამოცდილი გოგუა მაგრად დაუდგა მათ, მხვილასის ძლიერი შორეული დარტყმა კი ოდნავ ასცდა კარს. სტუმრები საკუთარი კარის უსაფრთხოებით იყვნენ დაკავებულნი, წინ მხოლოდ ჩია ფორვარდი თორია ჰყავდათ გამწესებული და აკი სტუ-

რუას კართან ხიფათი ერთხელაც ვერ შექმნეს. შეხვედრის ერთადერთი და „ტორპედოსთვის“ სამი ქულის მომტანი გოლი კი მე-40 წუთზე ასე გავიდა: მცველმა ბურთი გოგუას დაუბრუნა, მეკარემ კი ხელში აიღო; მსაჯმაც კარიდან 7 მეტრში თავისუფალი დანიშნა, დავითაშვილმა ძლიერად დაარტყა, გოგუამ უკუაგდო, თუმცა დამატებაზე ჩხეტანმა ივარგა და 1:0.

შესვენების შემდეგაც უტყვედა ერთი გუნდი, მეორე კი თავს იცავდა. დავითაშვილი ბევრს ეცადა გატანას, თუმცა ვერა შეძლო, ჯერჯერობით „აბრეზას“ მხოლოდ თასის თამაშებში გააქვს. შეცვლაზე შესულ ბოლქვაძესაც შეეძლო გატანა...

საბოლოოდ, „ტორპედომ“ ერთი უპასუხო ბურთი იკმარა და როგორც ჩანს, ძალები „ქობულეთთან“ სათასო მატჩისთვის შემოინახა.



გიორგი ნემსაძე (№27) „დინამოს“ და საქართველოს ჩემპიონატს დაუბრუნდა

მსაჯობა აი, თამაში ვაი

თბილისი. 18 მარტი. 15 საათი. ტორპედო. 500 (ტეფადობა 20 000)

ტორპედო 1:0 პერსხალი

1:0 ჩხეტანი (40)

ტორპედო: სტურუა, მახვილაძე, ს. თოდუა, გამეზარდაშვილი, კოშკაძე, ჭინჭარაშვილი, ბაბუნაშვილი (დ. ბოლქვაძე 68), მემარინიშვილი, დავითაშვილი, გ. ჩხეტანი (ხუციშვილი 68), ნერგაძე
სათადარიგო: გ. გაბელია; ადუაშვილი, გ. დარსაძე, მუმლაძე, ლ. ჭელიძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

პერსხალი: გია გოგუა, კობაური, კვიციანი (დ. მარგალიტაძე 79), ჭალაშვილი, მფავანაძე, ნილოსანი (ჯანელიძე 71), გ. წიგნივაძე, სიამაშვილი, ებრალიძე, უ. ჩხაიძე (ოქიტაშვილი 46), თორია
სათადარიგო: როხაძე
მწვრთნელი: აკაკი ათუაშვილი

ბაზრტნილი: მემარინიშვილი (32), ოქიტაშვილი (55), დავითაშვილი (74), ებრალიძე (76)

მსაჯელები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. ვაბაძე (თბილისი)

სფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

საპარტოლო 15 ნაპირიანი 1 ტური

მცხეთა. 18 მარტი. 15 საათი. არმზნი. 600 (ტევადობა 2 000)

Table with match details for 'მცხეთა' vs 'არმზნი'. Includes team names, player lists, and scores.



გუმინდელ უგოლობაში მთავარი დამნაშავე თემურ გოლუკოვი იყო

რა უნდა ეხსეთაუი სოკოს? სიონმა ვიტ ჯორჯიას დრო და ქულა მოკპარა

კახა შალვაშვილიმ მცხეთიდან დააჩქარებინა, ტავარიშ სუ-ლია; სწრაფად, დრო გადის; ბურთი მომე, ბიჭო; რამდენი დარჩა? მწერ-თნელების შეძახილებს თუ არ ჩა-ვთვლით, გუმინ, „არმაზზე“ ასეთი სიტყვების კორიანტელი იყო. მოჩ-ქარე „ვიტ ჯორჯია“ გახლდათ, მი-სი ნერვებისამშლეელი კი „სიონი“.

გაუმართლა — სამიოდ მეტრიდან დარტყმული ბურთი სწორედ რომ მისთვის სასურველი მიმართულე-ბით წავიდა. „სიონი“ გადარჩა. თამაშის დაწყებიდან ათიოდ წუ-თში ყველაფერი გაირკვა: „ვიტ ჯორჯია“ ისედაც შემტევი გუნ-დია და უკან დახევებზე არც უფი-ქრია, „სიონი“ კი ხისტი დაცვით კონტრშეტევაზე სწრაფ გადასე-ლას ცდილობდა. ერთი სიტყვით, პირველი ტაიმი ისეთი იყო, არ მოიწყენდი. ამ დროში კი ვეტე-რინარებს კიდევ ორჯერ შეეძლოთ გოლის გატანა — ჯერ ლაშა ნო-ზაძის ურთულესი დარტყმული ვო-ლეკოვმა კუთხურზე მოიგვრია, მე-რე კი გოცირიძის თავური აისხ-ლიტა ხარიხამ.

მასპინძლების შეტევები სახიფა-თო დარტყმებით ორჯერ დასრუ-ლდა — დეკანოზიძის თავური ვო-ლეკოვის ნადავლი გახდა, გოჩაშვი-ლმა კი კარის ჩარჩოში ვერ მოა-რტყა. „სიონს“ მეტოქის ნახევარზე გა-დასვლა არც უფიქრია. დაწყებუ-ლი საქმე ბოლომდე მიიყვანა და დაგეგმილი ქულაც გაიყვანა შინ. ნამატრევეს ვეტერინართა ქომაგები გულს იმშვიდებდნენ, კიდევ კარგი, „დინამოც“ ვერ მოიგო. არადა, „დინამოს“ ვერძოვებისთვის „ვიტ ჯორჯიას“ მოგება რომ მიემატე-ბინა, საჩემპიონო ინტრიგა ხომ ნა-წვიმარზე თავამოყოფილი სოკოსა-ვით გაიზრდებოდა.

საუკეთესო თემურ ვოლკოვი გუმინდელ მატჩში ყველაზე გამოცდილი „სი-ონის“ მეკარე იყო. ვოლკოვმა ერთი შეხედვით გამოუვალ სიტუაციაში, სულ მცირე, სამჯერ იხსნა საკუთარი გუნდი. გოცირიძეს, ნოზაძე-სა და დეკანოზიძეს მან სწორედ კლასის და გამოცდილების ხარჯზე აჯობა. ვოლკოვს არც თამაშის „მოკვლა“ ესწავლება და მაშინ, რო-ცა „ვიტ ჯორჯია“ მძლავრად მიაწვა „სიონს“, დროის გაყვანის ეშმაკური ხერხებით დააგლო მატჩის ტემპი.

მაში გათანაბრდა. ვფიქრობ, შედე-გი ლოგიკური იყო. ამ თამაშმა ჩე-მი გუნდის შეცდომები დამანახვა და მათზე ვიმუშავებთ. საბედნიე-როდ, ვერც ჩვენმა კონკურენტებმა მოიგეს, ასე რომ, ურთულესი და ძნელად საპროგნოზო ჩემპიონატი გვექნება.

ორი ქულა ნაბორდა

დავით არაქი თუ ვინმეა დამნაშავე იმაში, რომ შეხვედრა უგოლოდ ჩამთა-ვრდა, პირველ რიგში თბილისე-ლები. მათ ჯერონდ ვერ შეაფა-სეს თუ დააფასეს „დილა“ და უა-ღრესად საჭირო ორი ქულაც და-კარგეს. დაკარგეს იმიტომ, რომ თა-მაშს ეტყობოდა — გორელები ფრე-ზე ყაბულს იყვნენ.

თოდ წაჰკრა და კარს ააცილა. სამ წუთში კოკა შორი მანძილიდან შე-ეცადა „წყლის მოტანას“, მაგრამ ამ-ჯერად მეკარემ იმარჯვა. „თბილისმა“ უპირატესობა რომ იგრძნო, დაცვა დაივიწყა, ბექა ჩი-ტაიაც მცველებს დაუსხლტა და გრიშკაშვილს ურთულესი ბურთის მოგერიება მოუხდა. პირველი ტა-იმის ეპიზოდებს შორის აუცილე-ბლად გასახსენებელია აფციაურის დარტყმა 22 მეტრიდან, რომელიც სოლოლაშვილმა კუთხურზე მოი-გვრია. აფციაურისვე პასით შეიქმ-ნა პირველი ტაიმის მიწურულს ას-პროცენტუანი საგოლე მომენტი. მან

კარის სიახლოვეს მიკუნაძე მონა-ხა, კოკამ კი ბურთის ლამაზად, ერთი შეხებით გატანა მოისურვა და მიზანს ააცილა. მეორე ტაიმი უფრო სასიამოვნო საცქერი აღმოჩნდა, ვინაიდან თავი-სი შანსის ძებნა გორელებმაც დაი-წყეს. ჯიქიას შორიულ დარტყმას გორელებმა ჩიტაიას სახიფათო ვარლევით უპასუხეს. 75-ე წუთზე კი „თბილისმა“ ბოლო ასპროცენტუ-ანი შანსი გააცუდა. აფციაურის და-რტყმული ბურთი სოლოლაშვილმა ხელში ვერ შეიმაგრა, დასწრებაზე პირველ ჯიქია გაჩნდა, თუმც ისევ მეკარის თავანწირვით მომენტი გო-ლად ვერ იქცა.

თბილისელებმა სიჩქარეს და შე-ცდომებს უმატეს და ორჯერ კი-ნაღამ დაისაჯნენ კიდევ. 83-ე წუ-თზე მეკარესთან პირისპირ დარ-ჩენილ ბექა ჩიტაიას გრიშკაშ-ვილმა არ გაატანინა, ხოლო 90-ე წუთზე იმავე ჩიტაიამ შენიშნა, რომ თბილისელთა გოლკიპერი კარი-დან შორს იყო გამოსული და 35 მეტრიდან ბურთის თავზე გადაგ-დება მოისურვა. მას ეს ფაქტობ-რივად გამოუვიდა კიდევ, თუმცა მიწიდან ამხტარი ბურთი კარსაც გადაახტა.

საქეტიული ახალგაზრდები ჰყავთ. „თბილისის“ თამაში კარგად შევი-სწავლეთ, ბოლო ორი კვირა მხო-ლოდ ამაზე ვმუშაობდით, შედეგით, ბუნებრივია, კმაყოფილი ვარ, თუ-მცა მოგება ორივე გუნდს შეეძლო. შემდეგი ტურიდან დისკვალიფიცი-რებული მოქალაქეები დაგვიბრუნ-დება, რაც შეტევას კიდევ უფრო გავეძლიერებს.

თბილისი 0:0 დილა

Table with match details for 'თბილისი' vs 'დილა'. Includes team names, player lists, and scores.

გორევი დეკლარირა. საკმაოდ დაძაბული და გახსნილი თამაში იყო. პირველ ტაიმში მეტოქე ამ-კარად დავეჯახეთ, მეორეში კი თა-

საუკეთესო თორნიკე აფციაური

თბილისელთა ყველა სახიფათო შეტევას საფუძველს აფციაური უყრიდა. პირველ ტა-იმში მიკუნაძე ორჯერ გაიყვანა საგოლე პო-ზიციაზე, მეორეში კი თითოჯერ ჯიქია და ოლიკაძე. გარდა ამისა, შორეული დარტყმე-ბით თავდაცვ გაუჩინა თავსატეხი სოლოლა-შვილს. თორნიკე ხშირად საკუთარი საჯარი-მოდანაც იწყებდა შეტევებს და თამამად შე-იძლება ითქვას, რომ დღეს იგი „თბილისის“ ლიდერია.



Table with league standings for 'სატურნირო ვითარება განახლებული ქულებით'. Columns include team names and points.

პირველი ფინალი დიდი პადლობით

იტალია
თასის ფინალი. I მატჩი

ლაციო 2:0 იუვენტუსი
1:0, 2:0 ფორე (59, 80)
ლაციო: სერენი, ოდო, სტამი, ფ. კოუტუ, ფაფალი, ფიორე, ჯანიკედა, ლივრანი (დაბო 81), სეზარი (ძაური 89), კორადი, მუტი (ს. ინძაგი 46)
იუვენტუსი: კომენტი, ტურამი, ტუდორი, ლეგროტალიე, პესოტო, კამორანეზი (ბარტოლუჩი 84), ტაკინარდი, ა. კონტე (მარესკა 73), აპია, ნედვედი, დი ვაიო (პალადინო 76)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: კომენტი, ნედვედი, ინძაგი
გაძეგება: ტუდორი (82)
მსაჯე: კოლინა
70 000 მაყურებელი

დაუგროვდა, ერთი სიტყვით, ნამდვილი კრიზისი აქვს რომში „მავთურებს“ არ ჰყავდნენ აღესანდრო დელ პიერო, დავიდ ტრეზეგე, ჯანლუკა ძამბროტა, ალესანდრო ბერინდელო, ფაბრიციო მიკოლი და დისკვალიფიცირებული ჩირო ფერარა. „ლაციოში“ არ იყო კლავდიო ლოპესი, რომელიც არგენტინაში სამხმარზე ყოფილა ჩასული, ასე რომ, მასპინძელთა სამკაცა თავდასხმა შედეგობდა რობერტო მუტის, სეზარისა და ბერნანდო კორადისგან.

პირველი სახიფათო მომენტი მაინც „ბებერ ქალბატონს“ ჰქონდა: დაახლოებით 25 მეტრიდან პაველ ნედვედმა ოდნავ ააცილა მიზანს. შემდეგ მასპინძლებმა შეუტყეს აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში იტალიის თასის ყოველ შეხვედრაში, „იუვენტუსის“ კარს ანტონიო კომენტი იცავდა და მან თავიდან კორადის დარტყმული მოიგერია ყოჩაღად, შემდეგ კი ერთ ხანს ისევ დაისვენა, რადგან შეტევამ ისევ „ლაციოს“ კარისკენ გადაინაცვლა და მის კოლეგას მატეო სერენის მოუხდა კლასის გამოძლავლება. აღსანიშნავია, რომ სერენიმ მასურო კამორანეზისაც დიდებული რეაქცია შეაგება.

პირველი ტაიმის ბოლოს, მსაჯის წამატებულ წუთებში, „ლაციომ“ შეაგდო გოლი, რომელიც არ ჩაუთვალეს — კორადი „იუვენს“ მეკარეს ეთამაშა სახიფათოდ. მეორე ტაიმის მე-6 წუთზე პიერლუიჯი კოლინამ პენალტი დანიშნა — ფაბიო ლივერანი ტური-

ნელ მცველებს გასცდა და ბურთი მეკარე კომენტისაც გაუგდო, მაგრამ წამოდო მას და დაეცა. დარტყმა სეზარმა ითავა, მაგრამ კომენტიმ მოიგერია.

შემდეგ შეცვლაზე შესულ სიმონე ინძაგის მოუხდა მეორე პენალტი. ის იგორ ტუდორთან ერთაბრძოლაში წაიქცა, მაგრამ კოლინამ რომელიც გააფრთხილა.

59-ე წუთზე კი სტეფანო ფიორემ ანგარიში მარცხენა ფეხით, საჯარიმოს გარედან გახსნა, რასაც „ლაციომ“ ერთ წუთში კინაღამ კი-

დევე ერთი გოლი მიაცილა, როდესაც კომენტიმ პირისპირ შესულ ჯულიანო ჯანიკედას არ მისცა მიზნის მიღწევის საშუალება.

ჰქონდა თუ არა „იუვენტუსს“ ანგარიშის გათანაბრების შანსი? ჰქონდა, როდესაც იმ სტადიუმზე ბურთი სახიფათო ზონიდან გამოაგდო და ამით მოულოდნელად მეკარის ბაქანში მარკო დი ვაიოს მისცა ბრწყინვალე წამი, მაგრამ დი ვაიომ ვერ ისარგებლა. ფიორემ კი საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე მეორე გაიტანა. უნდა ითქვას, რომ „იუვენტუსმა“ ტრადიციულად დაცვაში დაუმუშავე შეცდომა.

შეხვედრის ბოლო თვალსაჩინო მოვლენა კი იგორ ტუდორის გაძეგება გახლდათ. მან ზემოხსენებული ბრაზილიელი სეზარი დაამაგა. სხვათა შორის, ამის შემდეგ „ლა-

ციოს“, კერძოდ კი სტამს მესამე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ კომენტიმ იყოჩაღა.

„ასეთი მეორე ტაიმისთვის ჩემს ბიჭებს დიდ მადლობას ვუძღვნი — თქვენს მატჩში უმეტესად პრესკონფერენციაზე „ლაციოს“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ — ბევრი მათგანისთვის ეს კარიერაში პირველი ფინალი იყო და ცხადია, ამის გამო ზეწოლას გრძნობდნენ.“

„იუვენტუსის“ თავკაცმა მარჩელო ლიპიმ კი განაცხადა:

„თამაშის მსვლელობისას ჩემი გუნდი ცუდად არ მოქმედებდა, მაგრამ ორი სამარცხვინო გოლი გავუშვი. ვფიქრობ, იტალია არ გეწყალობს, მაგრამ მეორე შეხვედრაში ჩვენსას მაინც უცდით.“

პაპუნა ტაძარი



ბერნარდო კორადის იგორ ტუდორმა ფეხებში იმდენი ურტყა, რომ პიერლუიჯი კოლინამ წითელი ბარათი არ დანიშნა

გერმანია

თასის ნახევარფინალი
ალემანია 1:0 მიუნხენლადვანსი
1:0 გრლიჩი (42)
ფინალში 29 მაისს
ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“
ბერლინის „ვერდერი“ და აახენის
„ალემანია“ შეხვედრიან

ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქ აახენში დიდად გაიხარეს „ალემანიამ“ მიუნხენლადვანსის „ბორუსიას“ სძლია და ფინალში გავიდა. აქვე გაიხსენოთ, რომ მეორეუნდესლიგელებმა მეოთხედფინალში თვით მიუნხენის „ბაიერსს“ აჯობეს.

პირველ ტაიმში „ბორუსიამ“ მეტოქის კართან რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შექმნა. ვაცლავ სერკოშის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, ბერნდ კორზინეცს კი მასპინძელმა შტრაუბმა ორჯერ აუღო. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები კლასის ხარჯზე უკეთესად


საიტასი და უეფას

გამოიყურებოდნენ, გოლი მათ კარში გავიდა. საჯარიმოს წინ ჯეფ შტრასერმა მოწინააღმდეგე წააქცია. ჯარიმის შესრულება ივიცა გრლიჩმა იკისრა და რაიტმაიერს მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა. შესვენების შემდეგ „ალემანია“ დაცვაში ჩაჯდა. სტუმრებმა ცდა არ დააკლეს ჯეპირების გასარდევად. ორჯერ პენალტსაც ითხოვნენ, როცა მასპინძელ ფეხბურთელებს ბურთი აშკარად ხელზე მოხვდათ, მაგრამ მსაჯმა წაუყრუა და თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა.

„ალემანია“ ფინალში მესამედ გავიდა. აახენელებმა 1953-ში, შემდეგ

კი 1965 წელს ითამაშეს თასის ფინალში და დამარცხდნენ. ამჯერად მათი მეტოქე ბერლინის „ვერდერი“ იქნება. ეს კარგიცაა და ცუდიც, ცუდი იმიტომ, რომ „მუსიკოსები“ ბრწყინვალედ თამაშობენ და ასე თუ გააგრძელებს, მეორე ბუნდესლიგელებს თასის მოგების მცირე შანსი ექნებათ. კარგია იმ მხრივ, რომ „ვერდერი“ ალბათ ჩემპიონი გახდება, ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება და „ალემანია“ პირველად ისტორიაში უეფას თასზე ითამაშებს. გერმანიის თასის ფინალი 29 მაისს ბერლინში გაიმართება.

ვაჟა ხუციშვილი



პოლგერ ფახის „ბორუსია“ ფინალს ივიცა გრლიჩმა არ გააყარა

Крупнейшая российская букмекерская контора ФОН

Приглашает к сотрудничеству

Откройте контору в своем городе!

Справки по телефонам:
+7 095 9045011; +7 095 9045018

Ставки и казино в интернете: www.fonbet.info



მაიკლ ოუენმა შაჰა ჰისლოპს ორჯერ გაუტანა

ინგლისი

პრემიერლიგა
გადაღებული მატჩი

ლივერპული 3:0 პორტსმუთი
1:0 ჰამანი (6), 2:0, 3:0 ოუენი (28, 58)
ლივერპული: დუდეკო, კარაგერი, ბი-სკანი, პიპია, რიისე, ჰამანი, მერფი, ჯერარდი (შეირუ 74), კიუელი (დო-უფი 80), ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჯერარდ ულიე
პორტსმუთი: პისლოპი, სტეფანოვიჩი, პრიმუსი, დე ზეუვი, კერტისი, სმერტინი (სტოუნი 46), ფიფი, ბ. პი-უზი, ლუა ლუა, ტოდოროვი (მეთიუ ტეილორი 46), მორნარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: სტეფანოვიჩი
მსაჯი: ნაითი
34 663 მაყურებელი

ხასიათზე მოვიდა ძველი მაიკლის გამოჩენა

ექვსტურიანი უილბლობის შემდეგ „ლივერპულმა“ გაიღვიძა და 3:0 დაამარჯებინა „პორტსმუთი“, რომელსაც ახლა პრემიერლიგაში დარჩენისთვის უწევს ბრძოლა. ამ გამარჯვებით ჯერარდ ულიეს გუნდი აგრძელებს ჭიდაობას „ჩარლტონთან“ და „ნიუკასლთან“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის. „პორტსმუთის“ ძლიერ ლივერპულთან შეხვედრის იმიტად იყო სასიხარულო, რომ მრავალდღიანი გვა-

ვისა და უილბლობის შემდეგ გადაიბრწყინა მაიკლ ოუენმა, რომელმაც ორი გოლი გაიტანა. ანგარიში ამ შეხვედრაში უკვე მე-5 წუთზე გახსნა დიტმარ ჰამანმა და საერთოდაც, თამაში ისეთი იყო, რომ შესვენებამდე ბარე 5:0 უნდა ყოფილიყო. ოუენმა კი ძველებურად ითამაშა, ორი სხვადასხვანაირი გოლი გაიტანა — ერთი ხუთიოდ მეტრიდან, მეორე კი თავურით. მაიკლს კიდევ ერთი უნდა გაეტანა, როცა მეურვეს

დაუსხლტა და ბარე ოცმეტრიანი გარღვევის შემდეგ დარტყა, ოლონდაც შაჰა ჰისლოპმა აულო. ამ დღეებშივე გაიკვავა, რომ ოუენი ყაბულსა „ლივერპულთან“ კონტრაქტის განახლებაზე, ჟერარდ ულიე კი განსაკუთრებით თავისი მთავარმეგობლის გამოღვიძებით ხარობდა: „მაიკლი ძალიან განსაკუთრებულია, საოცრად ითამაშა. შანსი ბევრი არ ჰქონია და სამიდან ორი გოლად აქცია. საერთოდ, გოლს ხასიათზე მოჰყავს თავდამსხმელი. მაიკლისგანაც ამას ველოდი“.

შაბათს „ლივერპული“ ცხრილის ბოლოში ჩაკარგულ „გულვზს“ მაიკლინდობს.

ირაკლი გამყრელიძე

არსენალი	28	21	7	0	55:18	70
ჩელსი	28	19	4	5	50:21	61
მანჩესტერი	28	18	4	6	52:29	58
ჩარლტონი	28	12	7	9	39:34	43
ლივერპული	28	11	9	8	41:31	42
ნიუკასლი	28	10	12	6	38:29	42
ბირმინგემი	28	11	9	8	30:30	42
ასტონ ვილა	28	11	7	10	36:32	40
ფულემი	28	11	6	11	41:38	39
ტოტენჰემი	28	11	4	13	40:43	37
საუთჰემპტონი	28	9	9	10	29:27	36
მიდლსბრო	28	9	7	12	29:35	34
ბოლტონი	28	8	10	10	32:44	34
ვევრტონი	28	8	8	12	34:39	32
სიტი	28	7	9	12	40:40	30
ბლექბერნი	28	7	7	14	39:46	28
ლესტერი	28	5	11	12	38:51	26
პორტსმუთი	28	6	6	16	29:44	24
გულვზი	28	5	9	14	24:56	24
ლიდსი	28	5	7	16	26:55	22

I ლიგა

ნორვიჩი	36	20	10	6	57:30	70
ვესტ ბრომვიჩი	37	20	10	7	53:32	70
ვესტ ჰემი	37	15	15	7	55:36	60
შეფილდი	36	17	8	11	53:42	59
უიგანი	36	15	13	8	49:37	58
რედინგი	37	16	9	12	47:49	57
სანდერლენდი	34	15	11	8	47:31	56
მილუოლი	35	15	11	9	44:34	56
იფსვიჩი	37	16	8	13	67:61	56
ქოვენთრი	37	14	13	10	52:40	55
პრესტონი	37	14	10	13	54:50	52
სტოკი	36	14	10	12	50:47	52
კრ. პალასი	36	14	9	13	57:53	51
კარდიფი	36	13	10	13	57:47	49
ქრიუ	36	12	8	16	46:52	44
უოლტორდი	37	11	10	16	42:52	43
ნოტინგემი	37	10	12	15	46:48	42
როტერჰემი	36	10	12	14	41:49	42
უოლსოლი	37	10	11	16	38:50	41
ბარნი	37	9	14	14	48:61	41
ჰილინგემი	35	11	8	16	35:49	41
დერბი	36	9	11	16	37:56	38
ბრედფორდი	37	9	6	22	31:52	33
უიმბლენი	35	5	3	27	28:72	18

მონაკომ უბეზო სიდიბე გაზარდა

საფრანგეთი

თასის მემორიალი

ნანტი 3:2 რენი
0:1 ს. ბარბოსა (45), 1:1 ვაირუა (64), 2:1 იაპი-იაპო (71), 3:1 ნოვიუ (87), 3:2 ფილე (90ს.კ.)
მონაკო 0:1 შატორუ
0:1 ჯ. სიდიბე (20)

„რეალთან“ ბრძოლის წინ დიდი დეშანმა არ გარისკა და საფრანგეთი თასი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩს შესწირა. „მონაკოს“ მწვრთნელმა „შატორუს“ წინააღმდეგ, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობა ათამაშა. თენახევიანი შესვენების შემდეგ გამოჩნდა ლუდოვიკ ჟიული, მაგრამ „შატორა უფლისწულს“ ფორმის აღსადგენად ამკარად დრო სჭირდება.

დეშანმა იგრძნო, რომ „ლიონი“ და პსე კუდზე დაასხდნენ და სეზონის ბოლო მონაკეოში გუნდს სამ ფრონტზე ბრძოლა გაუჭირდება. საფრანგეთის თასი „მონაკოს“ ახლა აღარ აწუხებს, რადგან გზა „შატორუს“ დაუთმო.

სტუმრებმა შესუსტებული მეტოქის წინააღმდეგ გამართულად ითამაშეს. ბედის ირონიაა, რომ გოლი მალევე დაიბრუნა სიდიბემ გაიტანა, რომელიც „მონაკოს“ ფეხბურთელია და „შატორუს“ ათხოვა.

სიდიბეს გოლი საამო იყო. კუთხურის ჩაწოდების შემდეგ მცველებმა ბურთი საჯარიმოს გარეთ გადაადგეს, სადაც მალევე დაუხვდა და 25 მეტრიდან ზუსტად დაარტყა.

„ვიცილით, რომ „მონაკოს“ ორი

რთული შეხვედრა ელის. ჩემპიონატში „სოშოთან“, ჩემპიონთა ლიგაში კი „რეალთან“. მეტოქემ სათადარიგოებით ითამაშა და შანსი ხელიდან არ გაუშვით — თქვა ვეტერანმა მცველმა ჯიმი ალფერინომ.

„ნანტს“ ვიორელ მოლდოვანის გარეშე გაუჭირდა, თუმცა შესვენების შემდეგ მაინც იძალა. რუმინელ ფორვარდს სამუშაოს უფლებების გამო პრობლემები შეექმნა და ამიტომაც ვერ ითამაშა.

ანგარიში მეორე ტაიმის დასა-

წყისში სტუმრებმა გახსნეს. სედრიკ ბარბოსამ ექვსიოდ მეტრიდან თავით გაიტანა. მოგვიანებით, იეპესისა და პუილას კომბინაცია მარამა ვაირუამ შორიდან ზუსტი გასროლით დააგვირგვინა. თამაშის მიწურულს შივა ნოვიუ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე „რენის“ მცველებს დაასწრო და ანგარიში სხვაობა გაზარდა, ბოლოს კი ნიკოლა ჟილეს მუხლიდან ბურთი ლანდროს კარში აღმოჩნდა.

გაშა ხუციშვილი



მონაკო — შატორუ. განათხოვრებულმა ჯიმიბე მარკვენამ ისე მოაჭნა „მონაკო“ ნახევარფინალიდან დაიფრინა

Copa Toyota Libertadores '2004

ლიბერტადორის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

I ჯგუფი. IV ტური

პენაროლი (ურუგვაი) 4:0 სტრონგესტი (ბოლივია)					
ამერიკა	4	3	1	0	7:3 10
პენაროლი	3	1	1	1	6:4 4
სან კაეტანო	4	1	1	2	7:7 4
სტრონგესტი	3	0	1	2	2:8 1

II ჯგუფი. IV ტური

ონსე კალდასი (კოლუმბია) 2:0 ველას სარსვილი (არგენტინა)					
ონსე კალდასი	4	3	0	1	7:3 9
ველას სარსვილი	4	1	1	2	4:5 4
მარაკაიბო	3	1	1	1	4:4 4
ფენიქსი	3	1	0	2	3:6 3

III ჯგუფი. V ტური

სანტოს ლაგუნა (მექსიკა) 3:1 პარაპასი (ვენესუელა)					
სანტოს ლაგუნა	5	3	2	0	8:4 11
კრუზეირო	5	3	1	1	12:4 10
კარაკასი	5	2	0	3	6:9 6
უნივერსიდად დე კონსეპსიონი	5	0	1	4	5:14 1

V ჯგუფი. IV ტური

ელ ნასიონალი (ეკვადორი) 1:0 ინდეპენდიენტა (არგენტინა)					
ნასიონალი	4	2	2	0	3:1 8
ინდეპენდიენტა	4	2	1	1	6:3 7
ელ ნასიონალი	4	1	1	2	1:3 4
სიენსიანო	4	1	0	3	4:7 3

VI ჯგუფი. IV ტური

ლიბერტადი (პარაგვაი) 1:1 დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა)					
რივერ პლეტი	3	2	1	0	7:3 7
დეპორტივო ტაჩირა	4	1	3	0	4:2 6
დეპორტეს ტოლიმა	3	0	2	1	3:4 2
ლიბერტადი	4	0	2	2	2:7 2

VII ჯგუფი. IV ტური

სანტოსი (ბრაზილია) 1:0 ბარსელონა (ეკვადორი)					
სანტოსი	4	3	1	0	9:5 10
ბარსელონა	4	1	1	2	5:4 4
გუარანი	3	0	3	0	2:2 3
ხორხე უილსტერმანი	3	0	1	2	2:7 1

IX ჯგუფი. IV ტური

ოლიმპია (პარაგვაი) 2:1 სპორტივო პრინსიპალი (პერუ)					
სპორტივო კრისტალი	4	2	1	1	9:6 7
როსარიო სენტრალი	4	2	1	1	5:3 7
ოლიმპია	4	1	1	2	5:7 4
კურიტიბა	4	1	1	2	4:7 4

სპორტი

თასის ფინალი

რეალი 2:3 დ. (2:2) სარაგოსა
 1:0 ბექემი (23), 1:1 დანი (28), 1:2 ვილა (44), 2:2 რობერტო კარლოსი (47), 2:3 გალტი (110)

რეალი: სესარი, სალგადო, ი. ელგერა, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, გუტი, სოლარი (პორტილი 83), ზიდანი, რაული მწვრთნელი: კარლუს კეირუსი

სარაგოსა: ლაინესი, კუარტერო, ალვარო, მილიტო, ტოლედო, ჩანი, სავიო (ხუანელე 95), პონციო (ზენერელო 69), მოვილია, დანი (გალტი 60), ვილა მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

გაფრთხილება: სალგადო, მილიტო, ალვარო, გუტი, ფიგუ, ჩანი, ჩანი, ვილა, გალტი, ვიქტორ მუნიოსი („სარაგოსას“ მწვრთნელი), სოლარი, რაულ ბრავო, გუტი, ელგერა, ხუანელე, ლაინესი, ზიდანი

გაძევება: ჩანი (66), გუტი (95)

მსაჯი: კარმონა მენდესი
 54 000 მაყურებელი



გალტის გაღები და უიუიელი მუი

ესპანურმა კოპა დელ რეიმ ამ სეზონშიც დაამტკიცა, რომ ბოლო-ლებისადმი სიყვარული მისთვის უცხოა. ბარსელონურ „მონჟუიკზე“ შეკრებილი 54 ათასი მაყურებლის თვალწინ სამეფო თასის ფინალში ვიქტორ მუნიოსის უბრალო „სარაგოსამ“ კარლუს კეირუსის გალაქტიკურ „რეალს“ 120-წუთიანი ჯოჯოხეთი მოუწყო და მადრი-

დელეს „ოქროს სამეფოს“ (ჩემპიონობა, თასი, ჩემპიონთა ლიგა) ერთ-ერთი ნაწილი ააცალა. საერთოდ, სამეფო გუნდი ამ ტურნირზე ტრადიციულად ვერ ხეირობს. უკანასკნელად „რეალმა“ თასი 1993 წლის 26 ივნისს მოიპოვა — მაშინ ვალენსიურ „მესტალიასზე“ სწორედ არაგონულ „სარაგოსას“ სძლია 2:0. მას შემდეგ

მადრიდელმა ერთხელ კიდევ უწიეს ფინალს, მაგრამ საკუთარ „ბერნაბეუზე“ ხავიერ ირურეტას „დეპორტივოსთან“ ვერაფერი გააწვეეს — 1:2. ახლა კი, მიუხედავად ბექემისა და რობერტო კარლოსის ფანტასტიკური საჯარიმოებისა, შეუპოვარი არაგონელები ვერ დაჯაბნეს.

მატჩის დასაწყისი, როგორც მოსალოდნელი იყო, „რეალისა“ იყო — მე-15 წუთზე ფიგუს პირველი სახიფათო სტუმრობა არაგონელთა მეკარე ლაინესმა უკუაგდო. ცოტა ხანში რობერტო კარლოსმა მძლავრი საჯარიმო დაარტყა, თუმცა არაზუსტად. 22-ეზე ზიდანმა გუტი კარგი პასით ახეირა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ზუსტად გასროლა ვერ შეძლო, თუმცა გოლმა მალე გაახარა „მონჟუიკის“ დედაქალაქელი ქომბავები — დევიდ ბექემმა ჩვეული საჯარიმოთი გახსნა ანგარიში. ვიქტორ მუნიოსის ბიჭების სინაუქეც ამის მერე გამოჩნდა, წინასაფინალო ინტერვიუში არაგონელმა მაესტრომ კითხვაზე, იქნებ გვითხრათ, მსოფლიოს ყველაზე ძლიერ გუნდთან მოგებას როგორ აპირებთო, მოკლედ უპასუხა — ბედით და გუნდური თამაშით. ამ გუნდურმა გარჯამ დანის ბურთი უმალ შეაგდებინა — სავიოს გადაცემის შემდეგ დანიმ სესარი ლამაზი გოლით დაამწუხრა — 1:1. ეს იყო და, მოვილიამ, მილიტომ, ვილიამ და სავიომ მადრიდელთა საჯარიმო თუ ნაქები თავმოყვარე-

ბა ერთად ააოხრეს. პირველი ტაიმის მიწურულს გუტის ნერვებმა უმტყუნა, სესართან ახლოს ვილია წააქცია და მენდესიც უმალ თერთმეტმეტრიანისკენ მიანიშნებს. ხოსე მარია გუტიერესს ყვითელი ბარათი, ხოლო „რეალის“ კარის ბადეს კიდევ ერთი გოლი — პენალტი დაზარალებულმა ვილიამ გაიტანა.

შესვენებამ „რეალს“ გონზე მოსვლის შანსი მისცა და მოედანზე დაბრუნებისთანავე რობერტო კარლოსმა გაათანაბრა — ბრაზილიერის ყუმბარისებური ჯარიმა ლაინესმა ვერ მოიხელთა. გამხნეებულ კასტილიელები გამარჯვების გოლის გატანასაც შეეცადნენ, თუმცა მუნიოსის მიერ ნახსენები გუნდური თამაში არაგონის მისადგომებს საიმედოდ იცავს, სოლარიმ და ზიდანმა ხელსაყრელი მომენტები გააფუჭეს. მოწინააღმდეგეთა მეკარეები ვილა და სანტიავო სოლარიმაც უშედეგოდ მოინახულეს — კარმონას სასტვენს მეორე ტაიმი კვლავ ფრით შეეგება.

ორივე დამატებითში გამორჩეულად გაღები გაიბრწყინა. „რეალის“ დაქნცულ უკანახელებს შეცვლაზე შესული არაგონელის გამოჭერა სულ უფრო და უფრო უჭირდათ. რაულმა კი სცადა იერიშებში ჩართულიყო, თუმცა სამეფო გუნდის კაპიტანი თითქმის შეუშინეველი დარჩა. 110-ე წუთზე კი მოვილას პასით იღვლიანმა გაღებამ „სარაგოსას“ იჩნასებს ბედნიერი ფი-



ჩანი და გუტი მოედნიდან წითლებით გააცილეს

ესტა მოუწყო — კოპა დელ რეის არაგონელები ეუფლებიან. „დამსახურებულად მოვიგეთ. აღფრთოვანებული ვარ ჩემი ბიჭების თამაშით“ — თქვა ნამატჩევს ვიქტორ მუნიოსმა, ხოლო წაგებით ზარდაცემული კარლუს კეირუსი ბედს დაემდურა: „რეალი“ იმ მესამე გოლმა დაასამარა. მეტოქეზე უფრო მეტი სახიფათო მომენტები გვექონდა, თამაში კი „სარაგოსამ“ მოიგო. რა გაეწვობა, ალბათ ასეც ხდება ხოლმე“.

ლადო სომერიკი



ლუჩანო გალტი

ბიჭი ამ გოლზე გაიხრდება

დანი გარსიას, ოდინდელ რეალელსა და ბარსელონელს, ბექემის საგოლე საჯარიმოს მერე ანგარიში რომ არ გაეთანაბრებია, ვინ იცის, „რეალს“ „სარგოსასთვის“ აღარც დაენებებინა


სამეფო თასი... ახლა კი დანი ვიქტორ მუნიოსის დანარჩენ შევირდებთან ერთად სამეფო გუნდის ძღვევას ხეიმობს. მას ესპანური „ლიბრედირექტო“ ესაუბრა

— ბარსელონურ უიღბლობას არაგონული კოპა დელ რეი მოყვა. როგორ გრძნობთ თავს ამ შესანიშნავი გამარჯვების შემდეგ?
 — თასის მოპოვებამ ფეხბურთისადმი რწმენა აღმიღვინა. „რეალის“ ფინალში დამარცხება ჩემთვის და „სარაგოსასთვის“ ძალიან ბევრს ნიშნავს, ეს უზარმაზარი გამარჯვებაა. ფავორიტებად არავინ გვიოლიდა, მაგრამ ჩვენი თამაშით მთელს ესპანეთს ვაჩვენეთ საქმისადმი სერიოზულად დამოკიდებულებას რა შეუძლია.
 — მუნიოსმა თავის გამოსაჩენად შესანიშნავი შანსი მოგვცათ...

— ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი. უკვე ვამბობდი და ახლაც ვიტყვი, რომ „სარაგოსაში“ ჩემი კარიერა სასიკეთოდ წარიმართა.
 — ფინალურ მატჩში გოლიც შეაგდეთ...
 — ბურთების გატანა მეგოლეოთა საქმეა, მაგრამ მსგავს თამაშში მეტოქის კარის აღება გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი გოლი. მთელი სარაგოსა აღნიშნავს ამ დღესასწაულს, არა აქვს მნიშვნელობა, გოლი გავიტანე თუ საერთოდ მონაწილეობა მივიღე ამ ფინალში. მთავარია, ჩვენმა გუნდმა

მადრიდის „რეალი“ — მსოფლიოს ნაკრები დაამარცხა.
 — მოსალოდნელი იყო, მატჩი თერთმეტმეტრიანების სერიამდე მისულიყო. ამის გამო ხომ არ გეშინოდათ?
 — ვალიარებ, რომ პენალტების ნამდვილად მეშინოდა. მაგრამ გაღების გოლმა ყველაფერი გადაწყვიტა.
 — გოლი ვის მიუძღვნით?
 — ჩემს პატარა ბიჭუნას. ახლა ორნახევარი წლისაა და რომ გაიზრდება, ალბათ მამის გოლით იამაყებს...





ფრენკ სინკლერს ნიკოლი ბაგეშვიტით გაეცა



ფრენკის მ-ტრალი

სინათლარი არც ცოლს უნდა და აღარც ჯიუხს

ფრენკ სინკლერს ნიკოლი ბაგეშვიტით გაეცა. უილინსი წაუვიდა. მოჰკიდა ორ შეილს ხელი და კარი გაიხურა, ოჯახური სცენების გაშუქებაში დახელოვნებულ ინგლისელ ჟურნალისტებს კი განუცხადა:

„ჩემს გადაწყვეტილებაზე არაფრის თქმას არ ვაპირებ. არც ფრენკზე მსურს საუბარი, თუ რამე გაინტერესებთ, მას ჰკითხეთ“.

შეგახსენებთ, რომ ინგლისური „ლესტერ სიტის“ იამაიკელი ფეხ-

ბურთელი არის ერთ-ერთი სამიდან, ვის წინააღმდეგაც ესპანეთის სასამართლოში გაუპატიურების საქმეა აღძრული. დღეს სინკლერი და მისი ორი თანაგუნდელი, პოლ დიკოვი და კეიტ გილესპი ინგლისში მხოლოდ იმიტომ არიან, რომ ესპანეთის სასამართლოში დიდძალი სათავედებო თანხა შეიტანეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კვლავ იქაურ ციხეში იხსნებოდნენ. იმასაც შეგახსენებთ, რომ ხსე-

ნებულ სამუელს გერმანიაში მცხოვრები სამი აფრიკელი ქალის გაუპატიურებაში კი ედება ბრალი, მაგრამ, როგორც ირკვევა, მათ ეს ქალები სულაც არ გაუპატიურებთ. მეტიც, წინასწარ ისე ჩანს, რომ მაგალითად, პოლ დიკოვი ქალს საერთოდ არ მიჰკარებია, უბრალოდ ერთ მათგანს სიტყვაში აპყვა და იჩხუბა. აი, სინკლერმა კი მოსამართლესთან აღიარა, რომ ერთ-ერთთან გაერთო და ეს ამბავი

ქვეყანას ისე მოედო, მის ოჯახამდეც მივიდა. ერთი სიტყვით, ძალადობა არ ყოფილა, თუმცა ოჯახის დასანგრევად საკმარისი ამბავი ნამდვილად მოხდა.

ხოლო ერთ ინგლისურ გაზეთს შეეშალა და სტატიაში სათაურით, „ბრალი ედება გაუპატიურებაში“, დაურთო არა ფრენკ სინკლერის, არამედ „მანჩესტერ სიტის“ წევრის, ტრევორ სინკლერის ფოტო. ახლა ამ გაზეთს ღირსების შელახვისთვის სასამართლოში მოუწვევს პასუხის გაცემა.

თუმცა ჩვენ ფრენკ სინკლერს დაუბრუნდეთ. გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაეწიო, სწორედ ასეა მისი საქმე. სინკლერის აგენტმა, ფილიპ გრემმა ჟურნალისტებს განუცხადა:

„ფრენკი „ლესტერ სიტისთან“ ახალ კონტრაქტს, ალბათ, აღარ გააფორმებს“.

ეს იმას ნიშნავს, რომ კლუბი, რომელშიც სინკლერი თამაშობს და რომელთანაც კონტრაქტის ვადა ამ ზაფხულს გაუდის, მასთან თანამშრომლობას აღარ აპირებს. გრემმა განაცხადა:

„არა მგონია, ესპანეთში მომზადრამ ახალი გუნდის პოვნაში ხელი შეგვიწყოს, მაგრამ ის, რომ ფრენკი საიმედო ფეხბურთელია, ყველამ იცის. ერთი სიტყვით, „ლესტერთან“ წასვლა ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ მე უფრო მგონია, რომ ყველაფერი სწორედ ასე მოხდება, ამიტომაც ვცდილობ, თადარივი დავიჭირო“.

ბაგეშვიტი



პიტერ კინიონი

„ჩელსის“ უფროსობამ უარყო, რომ მომავალი სეზონიდან ოტმარ ჰიტცელდის მიიწვევს გუნდის მწვრთნელად. ასეთი რამ მისთვის არც კი გვითხოვიაო — თქვა კლუბის შეფმა პიტერ კინიონმა.

ცნობა იმის შესახებ, რომ ჰიტცე-

ცრუ განცხადება

ხინიონმა ჰიტცელდი უარყო აბრამოვიჩმა სიაში ანჩელოტი ჩაწერა

ლდი ლონდონში გადაღის გერმანულ გაზეთ „ბილდში“ გამოქვეყნებული „მეტანი სიტუაცია“ — განმარტა კინიონმა, თუმცა „ბილდში“ მოტანილია „ბაიერნის“ მწვრთნელის სიტყვები: „მქონდა შემოთავაზება, ჩელსიდან, თუმცა მიუხეზნური კონტრაქტი 2005 წლამდე მაქვს და მინდა ბოლომდე მივიყვანო. „ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰიონესი კი ამბობს, რომ კლუბს ჰიტცელდთან კონტრაქტის გაწყვეტა არ სურს. „მეტიც, ამ სეზონის შემდეგ გვინდა ჩვენი ურთიერთობების განახლება“ — ამბობს ჰიონესი, რომელიც იმის შემდეგ ელაპარაკა გერმანულ მედიას,

რაც ხმა გაერცვლა, ჰიტცელდი მიღის და მის ადგილს „მეტსტარტის“ ბოსს, ფელიქს მაგათს უშადადებო.

„ჩელსის“ საგაისო მენეჯერთა არაოფიციალურ სიაში პირველ ნომრად ინგლისის ნაკრების მენეჯერი სვენ გორან ერიკსონი წერია. თუმცა, „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ „ჩელსის“ მენეჯერი ზაფხულიდან „მილანის“ თავკაცი კარლო ანჩელოტი იქნება. რომან აბრამოვიჩი კი ხელშეკრულებას აფორმებს მოსკოვის „ცსკასთან“, რათა „ჩელსის“ მეგობარ და ერთგვარად საბაზო გუნდად აქციოს.

ირაკლი ბაგეშვიტი




კარლო ანჩელოტი

ჟილბერტო სილვა ამტკიცებდა არსენალთან ბაუზვას

მადრიდის „ატლეტიკო“ აღბიონურ ნისლში ხელს აფათურებს. ესპანეთის დედაქალაქის გუნდს მომავალი სეზონისთვის გაძლიერება სურს და სამისოდ. მადრიდელეებმა ლონდონის „არსენალს“ მიაკითხეს და ჟილბერტო სილვას ჩამოუვლეს სიტყვა. ბრაზილიელს „მეთოფეებთან“ კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ ჟილბერტომ „მარკას“ განუცხადა: „ძალიან კარგია, როცა შენით დიდი გუნდები დაინტერესდებიან. მე ვესაუბრე ჩემს აგენტს და მან მაცნობა „ატლეტიკოს“ წინადადება. ეს ნიშნავს, რომ „არსენალში“ შესაძლებელია ვთამაშობდი და უცხო კლუბების თვა-

ლთახელვის არეში მოვხვდი. მიუხედავად ამისა, მადრიდელეებმა პირველ რიგში „არსენალის“ უფროსობას უნდა მიაკითხოთ, სადაც ჩემი კონტრაქტი დევს. მათ თუ მოილაპარაკეს, შემდეგ ჩემთან შეუძლიათ მოსვლა და პირად კონტრაქტზე საუბარი“.

მადრიდის „ატლეტიკომ“ თავის მხრივ უარი უთხრა „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელსაც ფერნანდო ტორესის წაყვანა სურდა. ტორესის გადაბირება „ჩელსისა“ ეწადა, მაგრამ ხანამშრალი დარჩა. „ატლეტიკოს“ მეგობრულ კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა ტონი მუნიოსმა თქვა: „ფერნანდო არ იყი-



დება. იგი შევიწარმენით მაშინ, როცა ფინანსურად ძალიან გვიჭირდა და რა სისულელეა მისი გაყიდვა ახლა, როცა წელში გავიმართეთ“.

ბაგეშვიტი

გერმანია

II ბუნდესლიგა
გადაღმებული მატჩი

ალენი 3:1 ბურგაუზენი

1:0, 2:0 ბენიკი (11, 19), 2:1 ტუმი (21), 3:1 ბელა (33)

ნიურნბერგი	24	12	7	5	44:28	43
კოტბუსი	24	12	6	6	38:30	42
ობერჰაუსენი	24	11	6	7	37:33	39
ალემანია	24	11	5	8	37:35	38
არმინია	24	10	6	8	33:26	36
მაინცი	24	8	12	4	33:26	36
კარლსრუე	24	9	7	8	26:28	34
დუსელდორფი	24	8	8	8	34:32	32
ბურგაუზენი	23	8	7	8	29:25	31
უნტერჰაინგი	24	8	7	9	30:31	31
ტრირი	24	8	6	10	32:37	30
რეგენსბურგი	24	7	9	8	29:35	30
ფიურტი	24	6	11	7	38:37	29
აუე	24	7	8	9	26:29	29
ლიუბეკი	24	7	8	9	35:39	29
უნიონი	24	7	7	10	28:28	28
ალენი	23	6	5	12	20:33	23
ოსნაბრიუკი	24	5	5	14	21:38	20

უპიჯარბა

საქართველო XXIV ტური

აბრუ 2:2 გრასპოპერი

0:1 განე (1), 1:1 მამუკაშვილი (15), 1:2 განე (23), 2:2 იიტო (45)

სინკლერი 2:2 მსახიბნი

0:1 ს. ზა (7), 1:1 კადერი (38), 1:2 ზფუტი (50), 2:2 ლ. ტურე (79)

თუნი 2:3 სანტ ბალენი

0:1 ბარნეტა (16), 1:1 ლუსტინელი (36), 2:1 სინანი (60), 2:2 ტანე-მენსა (68), 2:3 ბარნეტა (74)

ვილი 1:3 იანგ ბოისი

0:1 სერმეტერი (30), 1:1 მორდგუ (40), 1:2 მელნოვიჩი (82), 1:3 ლანდრო (87)

ციურხი 1:0 ბაზალი

1:0 გიგაქი (7)

ბაზალი	24	19	4	1	67:21	61
იანგ ბოისი	24	15	4	5	52:32	49
სერვეტი	24	12	6	6	43:36	42
გრასპოპერი	24	9	4	11	43:50	31
ციურხი	24	9	3	12	38:37	30
თუნი	24	7	7	10	33:44	28
სენტ გალენი	24	7	6	11	35:45	27
აბრუ	24	5	10	9	39:48	25
ვილი	24	5	7	12	29:44	22
ქსამაქი	24	4	5	15	22:44	17

ავსტრია

მამსაუნდესლიგა XXV ტური

ადმირა 1:0 რაპიდი

აუსტრია 1:0 მატინსპურგი

პაშინგი 3:3 ბრაცარი

ზალცბურგი 2:0 ბრეგენცი

შტურმი 2:0 კარნთენი

აუსტრია	25	14	7	4	40:17	49
გრაცერი	25	13	7	5	42:26	46
პაშინგი	25	12	6	7	41:34	42
რაპიდი	24	11	8	5	37:29	41
ადმირა	25	9	6	10	31:32	33
ბრეგენცი	25	9	6	10	34:40	33
შტურმი	25	6	9	10	27:30	27
მატინსპურგი	25	6	8	11	25:41	26
ზალცბურგი	25	7	3	15	32:31	24
კერნთენი	24	4	6	14	19:48	18

ჰოლანდია

თასის ნახევარფინალი

სპარტა 3:3 დ.დ. (პენ.3:4, 2:2) შტრმბი

0:1 დე გროტი (10), 1:1 კოვერმანი (61, 64), 2:2 დ.დ. ბერგი (78), 3:2 რ. ვან დენ ბერგი (97), 3:3 ბროფსე (104)

პორტუგალია

თასის ნახევარფინალი

გენეზიკა 3:1 პალანსაში

1:0, 2:0 შოკოტა (8, 10), 3:0 ტ. მენევი (35), 3:1 როსარიუ (50)

გალობია

თასის ნახევარფინალი

პირველი მატჩები

ანდერლახტი 1:1 გვიპირენი

0:1 რომარინი (70), 1:1 ისტროვიჩი (71)

შუსპონი 2:2 ბრიუგი

1:0 მარინ ფელაგოვი (2), 1:1 კლემანი (72), 2:1 მ. მენზა (76), 2:2 ვერბინი (80)

უოტლანდია

პრემიერლიგა

გადაღმებული მატჩი

დენდი 1:2 სალტიკი

0:1 ს. პეტროვი (38), 0:2 ლარსონი (68), 1:2 ნოვი (90)

სელტიკი	27	25	2	0	87:14	77
რენჯერსი	27	19	4	4	53:22	61
პართისი	28	14	7	7	40:30	49
დანფერმლინი	26	10	8	8	29:35	38
მონერუელი	27	10	7	10	32:31	37
დანი იუნ.	27	8	7	12	28:42	31
დანილი	27	7	8	12	33:41	29
ლივენგსტონი	26	7	8	11	30:38	29
აბერდინი	28	7	7	14	31:44	28
ჰიბერნიანი	26	7	7	12	24:40	28
კილმარნოკი	27	8	4	15	33:56	28
პარტიკი	28	3	5	20	28:55	14

სარბიელი კროკო

ნარობიღბათი

I X 2 I-X I-2 X-2						I X 2 I-X I-2 X-2						I X 2 I-X I-2 X-2					
